

მოქალაქეთა ჩართულობის ხარისხის ზრდა
ადგილობრივ თვითმმართველობაში

*თერჯოლის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი მოსახლეობის
საჭიროებების დოკუმენტი*

*ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველო
(LDA Georgia)*

2021 წელი



კვლევის განხორციელება შესაძლებელი გახდა ა(ა)იპ ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველოს გრანტის „მოქალაქეთა ჩართულობის ხარისხის ზრდა ადგილობრივ თვითმმართველობაში“ ფარგლებში, რომელიც ხორციელდება „გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP), დანიის საგარეო საქმეთა სამინისტროსა და საქართველოს მთავრობის“ მხარდაჭერით.

ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველო მადლობას უხდის კვლევაში მონაწილეებს - ადგილობრივი მუნიციპალიტეტის, საკრებულოს, თემის წარმომადგენლებსა და მომსახურების მიმღებ პირებს, ანალიზისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის მოგროვების პროცესში გაწეული დახმარებისა და კვლევაში ჩართულობისათვის.

მკვლევარი: ნანა გოგოხია, იძულებით გადაადგილებულ ქალთა ასოციაციის „თანხმობა“ იურისტი (IDP Women Association "Consent").

წარმოდგენილი კვლევა შექმნილია გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP), დანიის საგარეო საქმეთა სამინისტროსა და საქართველოს მთავრობის მხარდაჭერით. მის შინაარსში გამოთქმული მოსაზრებები ავტორისეულია და შეიძლება არ ასახავდეს ზემოთ ჩამოთვლილი საერთაშორისო ორგანიზაციების მოსაზრებებს.

სარჩევი

1. კვლევის დიზაინი და მეთოდოლოგია.....	4
1.1 კვლევის საფუძველი	4
1.2. კვლევის მეთოდი და მონაწილეთა შერჩევა	4-5
1.3. ჯგუფური დისკუსიები და მონაცემების შეგროვება	5
2. შესავალი	6-7
3. განხილული საკითხები და გამოვლენილი საჭიროებები.....	8
3.1. ეკონომიკური განვითარება.....	8-10
3.2. სოციალურ-ეკონომიკური პროფილი.....	10-11
3.3. ინფრასტრუქტურა და კეთილდღეობა.....	11-12
3.4. განათლება, კულტურა და სამოქალაქო ჩართულობა	12-13
3.5 ძირითადი სერვისები და პროგრამები.....	13-14
4. რეკომენდაციები.....	15
5. საბიუჯეტო პროგრამა.....	16-17
6. დანართი.....	18
სადისკუსიო გეგმა/გზამკვლევი.....	18-19

1. კვლევის დიზაინი და მეთოდოლოგია

1.1 კვლევის საფუძველი

ა(ა)იპ ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველოს პროექტის „მოქალაქეთა ჩართულობის ხარისხის ზრდა ადგილობრივ თვითმმართველობაში“ ფარგლებში თერჯოლის მუნიციპალიტეტში, 2021 წლის აპრილის თვეში ჩატარდა საჭიროებების კვლევა, რომლის საფუძველზეც შეიქმნა წარმოდგენილი საჭიროებების დოკუმენტი, სადაც ერთის მხრივ საუბარია მოსახლეობის საჭიროებებზე და მეორეს მხრივ COVID 19-ის შემდგომ გამოწვევებზე.

კვლევა უზრუნველყოფს, მოსახლეობის თვალთ დახაზული ადგილობრივი პრობლემების გამოვლენა-შესწავლას. მათ მიერ ადგილობრივი საჭიროებების ხედვას, მათ პრიორიტეტებსა და მოლოდინებს ადგილობრივ განვითარებასთან დაკავშირებით.

კვლევის შედეგები ხელს შეუწყობს ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინებას ადგილობრივ დონეზე სტრატეგიული/პრიორიტეტული მიმართულების დაგეგმვისა და ღონისძიებების განხორციელების პროცესში.

კვლევის შინაარსი შეიძლება სრულად არ მოიცავდეს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის საჭიროებებს და არ ასახავდეს სრულ სურათს.

ასევე წარმოდგენილი რეკომენდაციები არ შეიძლება აღქმულ იქნას, როგორც დონორის აზრი და ის გამომდინარეობს მხოლოდ ფოკუს ჯგუფების დისკუსიებისას მიღებული ინფორმაციიდან.

1.2 კვლევის მეთოდი და მონაწილეების შერჩევა

კვლევის კონცეფცია, სადისკუსიო თემები და კითხვები შემუშავდება იმერეთის ადგილობრივი განვითარების სტრატეგიის თემატური ჩარჩოს საფუძველზე.

საკითხის სპეციფიკიდან გამომდინარე ჩატარდა თვისებრივი კვლევა, ფოკუს ჯგუფის მეთოდის გამოყენებით. ასევე, შესწავლილ იქნა მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო პროგრამები, მუნიციპალიტეტის 2020-2023 წწ საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტი, მერის 2020 წ განხორციელებული საქმიანობის ანგარიში.

ფოკუს ჯგუფებისთვის მონაწილეები შეირჩნენ მიზნობრივად, წინასწარ შემუშავებული კრიტერიუმების მიხედვით.

შესწავლის მიზნებისთვის რელევანტურ და საინტერესო ჯგუფებად გამოიყო შემდეგი: ადგილობრივი მუნიციპალიტეტის თანამშრომლები; თემის ფორმალური და არაფორმალური ლიდერები; მოწყვლადი სოციალური ჯგუფების წარმომადგენლები.

თერჯოლის მუნიციპალიტეტში სულ ჩატარდა: 2 (ორი) ფოკუს ჯგუფის შეხვედრა, რომელსაც ესწრებოდნენ:

- ადგილობრივი თვითმმართველობიდან : მერიის სოციალური სამსახურის, საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალური კომისიის წარმომადგენლები, ასევე მერის წარმომადგენლები ადმინისტრაციულ ერთეულებში;
- რესურსცენტრის წარმომადგენელი;
- თერჯოლის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების წარმომადგენელი;

- ადგილობრივი მაცხოვრებლები სხვადასხვა მოწყვლადობის გათვალისწინებით (მრავალშვილიანი , სოციალურად დაუცველი, დევნილი, მარტოხელა მშობელი).
- ადგილობრივი არასამთავრობოს წარმომადგენლები.

ფოკუს ჯგუფებში სულ მონაწილეობა მიიღო თორმეტმა (12) რესპოდენტმა, რომელთა შორის ცხრა (9) მდებარეობითი სქესის წარმომადგენელი იყო. მონაწილეთა საშუალო ასაკი 23 წლიდან 65 წლამდე მერყეობდა.

ფოკუს ჯგუფების მონაწილეობა ითვალისწინებდა ახალგაზრდების ჩართულობას და განსხვავებული სქესის წარმომადგენლის მონაწილეობას.

1.3 ჯგუფური დისკუსია და ინფორმაციის დამუშავება

ჯგუფური დისკუსია ჩატარდა წინასწარ შემუშავებული კითხვარის მიხედვით, რომელიც შედგებოდა ღია კითხვებისგან. იგი შედგებოდა ადგილობრივი განვითარების სტრატეგიის ფარგლებში ჩამოყალიბებული თემებისა და ქვეპუნქტებისგან და მოიცავდა შემდეგ თემებს:

- სოციალურ - ეკონომიკური მდგომარეობა;
- ეკონომიკური განვითარება;
- ინფრასტრუქტურა და კეთილდღეობა;
- ძირითადი სერვისები და პროგრამები თერჯოლის მუნიციპალიტეტში;
- Covid -19- ით გამოწვეული ახალი საჭიროებები.

ფოკუს ჯგუფებს ჰქონდათ სრული თავისუფლება, შეერჩიათ სადისკუსიო თემები, რომლებიც, მათი აზრით, ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ადგილობრივი საზოგადოებისთვის, განხილული პრიორიტეტებისა და გადაუდებელი აუცილებლობის თვალსაზრისით.

ინტერვიუს დასაწყისში თითოეულ რესპოდენტს ეთხოვა თავის წარდგენა და მათი კომპეტენციისა და საქმიანობის შესაბამისად, საკუთარი შეხედულებების გაცნობა თემისა და ზოგადად, მუნიციპალიტეტის პრობლემებსა და საჭიროებებზე. შესავალი პროცესის დასრულების შემდეგ, ინტერვიუერმა ხელი შეუწყო ჯგუფში დისკუსიის დაწყებას თემების, ადგილობრივი ცხოვრების შესახებ.

ინტერვიუერის მიერ ფოკუს ჯგუფის დისკუსიები ჩაიწერა ხმის ჩამწერზე, ხოლო თვალსაჩინოებისთვის ძირითადი საკითხების აღსანიშნავად გამოიყენებოდა საწერი დაფა. ინტერვიუს მონაწილეთა დასწრება დაფიქსირდა დამსწრეთა სიაში, რომელშიც აღინიშნა დამსწრეთა სრული სახელი, მისამართი, დეტალური საკონტაქტო ინფორმაცია და ხელმოწერა. მიღებული ინფორმაცია დამუშავდა კანონით გათვალისწინებული წესების დაცვით და ინახება ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველოს (LDA Georgia) ოფისში.

2. შესავალი (ზოგადი მიმოხილვა)

ფოკუს ჯგუფების დისკუსიები მიზნად ისახავდა თერჯოლის მუნიციპალიტეტის საზოგადოების საჭიროებებისა და პრობლემების გარკვევას/ დადგენას. დისკუსიების მსვლელობისას, მონაწილეებისათვის შეთავაზებული სადისკუსიო სფეროების ფარგლებში ყველაზე მეტად განხილულ იქნა ისეთი სკიოტები, როგორცაა: სოფლის მეურნეობა, ტურიზმი, ეკონომიკური განვითარების პროგრამები, ადგილობრივი ბიზნესი, წარმოება და პროდუქციის რეალიზაცია, მიგრაცია და დასაქმება, ინფრასტრუქტურული საკითხები, განათლების ხელმისაწვდომობა, სპორტულ/კულტურული აქტივობები, სამოქალაქო ჩართულობის მექანიზმები, ჯანდაცვის პროგრამები და სოციალური სერვისები, მოქალაქეთა ინფორმირებულობა, Covid-19-გან გამოწვეული ახალი საჭიროებები.

დისკუსიებმა ანახა, რომ მიუხედავად მუნიციპალიტეტის მიერ ბოლო წლებში განხორციელებული არაერთი წინგადადგმული ნაბიჯისა, კვლავ რჩება სხვადასხვა მიმართულებით გამოწვევები, რომელთა გადაჭრამაც უნდა უზრუნველყოს ადგილობრივი მოსახლეობის სოციალურ ეკონომიკური განვითარება და კეთილსამედო გარემოს შექმნა. მრავალფეროვანი გახადოს მუნიციპალური პროგრამები, ხელი შეუწყოს განვითარებაზე ორიენტირებული, გრძელვადიანი და მდგრადი სოციალური სერვისების შექმნას, რომელიც მოწყვლად ადამიანებს გააძლიერებს და თვითკმარს გახდის.

ახალი კორონა ვირუსის გავრცელებამ, თერჯოლის მუნიციპალიტეტი, მსგავსად სხვა მუნიციპალიტეტებისა ახალი, გაუთვალისწინებელი გამოწვევების წინაშე დააყენა. შეფერხდა ადგილობრივი ეკონომიკური განვითარება, მცირედით დროში გადაიწია ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებამ, გაიზარდა იმ ადამიანების რაოდენობა, რომლებსაც შეუძლია შემოსავალი, მოწყვლადი ოჯახები კი უფრო მეტი გამოწვევების წინაშე აღმოჩნდნენ.

პანდემიის პერიოდში მუნიციპალიტეტი თავისი კომპეტენციისა და შესაძლებლობის ფარგლებში დახმარებას უწევდა ადგილობრივ მოსახლეობას. აწვდიდა სასურსათო კალათებს, შეზღუდვების პერიოდში ეხმარებოდა გადაადგილებაში. ადგილობრივი ადამიანური რესურსებით ახერხებდა მოსახლეობისთვის ჯანდაცვისა და სოციალური სერვისების შეუფერხებლად მიწოდებას. უზრუნველყოფდა მოქალაქეების ინფორმირებულობას როგორც კოვიდ-19-გან დაცვის მექანიზმების, ასევე დაწესებული შეზღუდვებისა და რეგულაციების შესახებ.

პანდემიამ კიდევ უფრო მნიშვნელოვანი გახადა მოწყვლადი კატეგორიის მოქალაქეებზე ზრუნვის აუცილებლობა. დაწესებულმა შეზღუდვებმა, გაზრდილმა ფასებმა, შემოსავლის წყაროს დაკარგვამ მოწყვლადი მოსახლეობა კიდევ უფრო მეტად გახადა დამოკიდებული სახელწმიფო დახმარებებზე. დამძიმებულმა სოციალურ-ეკონომიკურმა მდგომარეობამ კი გაზარდა სოციალურად დაუცველი ოჯახების რაოდენობა.¹ ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტმა შეძლოს და მოახდინოს სერვისების ახალ საჭიროებებზე მორგება, ასევე სერვისებს მიღმა დარჩენილი მოქალაქეების იდენტიფიცირება და მათ საჭიროებებზე რეაგირება.

მომდევნო თავებში დეტალურად იქნება გადმოცემული ის მოსაზრებები, რომელიც ფოკუს ჯგუფების დისკუსიებისას გამოიკვეთა როგორც გამოწვევები, და ასევე რაც მუნიციპალიტეტის დოკუმენტების შესწავლის შედეგად იქნა გამოვლენილი. დანართის სახით წარმოდგენილია ფოკუს ჯგუფების განხორციელების ინსტრუმენტები.

¹ სოციალური მომსახურების სააგენტოს ვებ გვერდი http://ssa.gov.ge/index.php?lang_id=&sec_id=1476

ანგარიშში მოცემული გამოწვევები არ წარმოადგენს მხოლოდ ადგილობრივი თვითმმართველობის კომპეტენციისთვის განკუთვნილ საკითხებს, და მათი გადაჭრა/ მოგვარება შესაძლოა სხვადასხვა სახელმწიფო უწყებებისა თუ საერთაშორისო დონორების მხარდაჭერით იყოს შესაძლებელი.

3. განხილული საკითხები და გამოვლენილი საჭიროებები

3.1 ეკონომიკური განვითარება: თერჯოლის მუნიციპალიტეტი მდებარეობს დასავლეთ საქართველოში, იმერეთის რეგიონში, სადაც განვითარებულია ეკონომიკური მიმართულების ისეთი დარგები, როგორცაა: მეღვინეობა/მევენახეობა, რძისა და რძის პროდუქტების წარმოება, მეჩაიეობა, ტურიზმი.

სოფლის მეურნეობა : მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი წამყვანი ეკონომიკური დარგია სოფლის მეურნეობა. თერჯოლის მუნიციპალიტეტში მოსახლეობა ძირითადად მისდევს მევენახეობა-მეღვინეობას. მცირე ნაწილი დაკავებულია მიწათმოქმედებით. ასევე, მისდევს მეცხოველეობასა და მეფრინველეობას. ვითარდება სასათბურე მეურნეობა, სადაც ძირითადად მწვანილი მოჰყავთ.

როგორც ფოკუს ჯგუფების მონაწილეებმა აღნიშნეს თერჯოლას აქვს სოფლის მეურნეობის განვითარების კარგი პოტენციალი, თუმცა ამისთვის მნიშვნელოვანია ეკონომიკური განვითარების თანამედროვე მიდგომების დანერგვის ხელშეწყობა. ამ ეტაპზე ადგილზე მწვავედ დგას შესაბამისი დარგის სპეციალისტების ნაკლებობის საკითხი, (აგრონომები, ვეტეკიმიები და სხვა), რომელთაც შეუძლიათ სათანადო კონსულტირების გაწევა მეცხოველეობითა და აგრობიზნესით დაკავებული ფერმერებისთვის. მოსახლეობის ცნობიერების დონე ნაკლებია ახალი ჯიშების (ჟოლო, მოცვი და სხვა არატრადიციული კულტურები) და ახალი ტექნოლოგიების დარგში. მოსახლეობას არ მიუწვდება ხელი ტექნოლოგიურ სიახლეებთან სიძვირის გამო. ვინც მესაქონლეობას მისდევს ძირითადად ჰყავს ნაკლებ პროდუქტიული ადგილობრივი ჯიშის საქონელი, რაც მეტ შრომას მოითხოვს. *„ის პროგრამები, რომლებიც მეცხოველეობის განვითარების კუთხით არსებობს, მთელი რიგი წინაპირობების არსებობასთანაა დაკავშირებული. მოთხოვნაა კონკრეტული ჯიშის საქონლის შემოყვანა, რაც მაღალი ფასის გამო ფერმერისთვის ხელმიუწვდომელია, მაგრამ მისი მოვლა შენახვა როგორ მოხდეს ესეც ცოდნას საჭიროებს ”*, აღნიშნა ფოკუს ჯგუფის მიმდინარეობისას.

ადგილზე არ არსებობს ე.წ მექანიზაციის ცენტრები, სადაც მოქალაქეებს შესაბამისი აგროტექნიკის ქირავნობა შეეძლებათ. არსებული ტექნიკაც მოძველებულია. გამოწვევაა საწვავზე გაზრდილი ფასები. ფერმერები სარგებლობენ დიზელზე არსებული სახელმწიფო პროგრამით, თუმცა ის არ არის საკმარისი იმ სასოფლო სამეურნეო საქმიანობის განსახორციელებლად რაც მიწის დამუშავებიდან მოსავლის აღებამდე უნდა განხორციელდეს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ არის შემთხვევები, როცა მოქალაქეები არამიზნობრივად იყენებენ საწვავის ვაუჩერს და დიზელის შეძენის ნაცვლად , ვაუჩერის ფულად სახსრებში გადაცვლას ახორციელებენ.

მოსახლეობის მცირე ნაწილი მისდევს მეფუტკრეობას, და აწარმოებს თაფლს, თუმცა გამოწვევად დასახელდა თაფლის ხარისხის განმსაზღვრელი სერთიფიცირების პროცედურების ხელმიუწვდომლობა მეფუტკრეებისთვის , აუცილებელ ანალიზებზე არსებული მაღალი ფასის გამო. ხარისხის განმსაზღვრელი სერთიფიკატის არ ქონა კი ხელს უშლის თაფლის ბითუმად რეალიზაციას. ბოლო პერიოდში თერჯოლაში, მსგავსად სხვა მუნიციპალიტეტებისა საგრძნობლად შემცირდა ფუტკრის რაოდენობა, თუმცა დღემდე არ განხორციელებულა შესაბამისი მოკვლევა, რომელიც ფუტკრის დახოცვის მიზეზს დაადგენდა. სამწუხაროდ გავრცელებულია ფუტკრის დაავადებებიც, თუმცა ადგილზე ნაკლებადაა ხელმისაწვდომი კვალიფიციური ვეტეკიმი, რომელიც დროულ და მიზნობრივ კონსულტაციებს გაუწევდა მეფუტკრეებს.

თერჯოლაში განვითარების დიდი პერსპექტივა გააჩნია მეჩაიეობას, დღეისათვის აღნიშნული დარგი მეტ ხელშეწყობას საჭიროებს. აუცილებელია ჩაის პლანტაციების განახლება და მოვლის გაუმჯობესება. ჩაის გადამამუშავებელი ინფრასტრუქტურის მოწესრიგება. მნიშვნელოვანია კვალიფიციური აგრონომების ადგილზე არსებობა.

ბოლო წლებში მუნიციპალიტეტში , პროგრამა „დანერგე მომავლის“ ფარგლებში დაიწყო ისეთი კულტურების გაშენება , როგორცაა მოცვი და მაცვალი, თხილი.

დისკუსიებისას აღინიშნა, რომ გარდა „დანერგე მომავლის“ მოსახლეობისთვის ხელმისაწვდომია ასევე „აწარმოე საქართველოში“ პროგრამები. მოსახლეობის გარკვეულმა ნაწილმა აღნიშნული პროგრამების დახმარებით დაიწყო და განავითარა საკუთარი ბიზნეს საქმიანობა.

ფოკუს ჯგუფის მონაწილეებმა სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ განხორციელებული ეკონომიკური განვითარების პროგრამებიც ახსენეს, თუმცა აქვე დასძინეს, რომ პროგრამები თანაბრად არ არის განაწილებული და ხელმისაწვდომი თერჯოლის ყველა სოფლისთვის. თავად მოქალაქეებშიც აუცილებელია სამეწარმეო უნარების განვითარება.

ფოკუს ჯგუფების დისკუსიისას აღინიშნა, რომ სასურველია მეტად მოხდეს ახალგაზრდების წახალისება და მათი ეკონომიკური განვითარების პროგრამებში ჩართვის ხელშეწყობა.

თერჯოლაში ა(ა)იპ „ახალგაზრდული ცენტრის“ ბაზაზე ჩამოყალიბებულია ნერგების გამოყვანის სათბური, სადაც სკოლის ასაკიდან ახალგაზრდების სოფლის მეურნეობის დარგებით დაინტერესება ხდება. მოწყობილია ასევე საცდელი/სადემონსტრაციო ნაკვეთი, სადაც ახალგაზრდებს ექნებათ შესაძლებლობა უფრო ახლოს გაიცნონ სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული საკითხები, თავად მიიღონ მონაწილეობა ახალი ჯიშების გამოყვანასა და სხვა საინტერესო აქტივობებში, რაც ხელს შეუწყობს მათ დაინტერესებას აღნიშნული სფეროთი.

ადგილობრივი ბიზნესი და ბაზარზე წვდომა : როგორც მონაწილეებმა აღნიშნეს, მუნიციპალიტეტი მუდმივად ცდილობს მოიზიდოს ინვესტორები, ხელი შეუწყოს ბიზნეს სუბიექტებს განვითარებაში.

ბოლო წლების მანძილზე თერჯოლაში მეღვინეობის განვითარება აქტიურად დაიწყო. შესაბამისად ადგილზე ყველაზე დიდი რაოდენობით ღვინის წარმოება და ექსპორტზე გატანა ხდება.

მუნიციპალიტეტში არის ღვინის უმსხვილესი ქარხანა „მეღვინეობა ხარება“, ასევე მეურნეობა „საზანო“, რომლებიც მეღვინეობის განვითარებას უწყობენ ხელს. მონაწილეთა თქმით, თერჯოლაში 16 მცირე საოჯახო მარანია, როლებიც აწარმოებენ ღვინოს და რამდენიმე მათგანი ემზადება ექსპორტზე გასასვლელად, თუმცა პანდემიამ მათი საქმიანობა დროებით შეაფერხა.

ადგილზე არის რამდენიმე სამაცივრე მეურნეობა, სადაც შესაძლებელია წარმოებული მოცვის შენახვა. მოსახლეობამ განაახლა ჩაის წარმოება. „*თერჯოლაში წარმოებულმა ჩაიმ ერთ-ერთ საერთაშორისო ბაზარზე ჯილდოც მიიღო, მაგრამ ამ სფეროს წახალისება და ხელშეწყობა სჭირდება*“, აღინიშნა ფოკუს ჯგუფის მსვლელობისას.

თერჯოლაში მუშაობს რძის გადამამუშავებელი ქარხანა „ზეკარი“. *„კარგი იქნებოდა თუ რძის ჩამბარებელი პუნქტები სოფლებში შეიქმნებოდა, რომ გლახს ადგილზევე შეეძლოს რძის ჩაბარება, რაც ტრანსპორტირების ხარჯებს დაუზოგავდა,“* აღნიშნეს მონაწილეებმა.

ტურიზმი და რეკრეაცია: ტურიზმის განვითარება თერჯოლაში ბოლო რამდენიმე წლის მანძილზე აქტიურად მიმდინარეობდა და იზრდებოდა ტურისტების რიცხვი, რაც ხელს უწყობდა ადგილზე საოჯახო სასტუმროების, სწრაფი კვების ობიექტების გახსნას და მოსახლეობის დასაქმებას. თერჯოლაში არის რამდენიმე ტურისტულად მიმზიდველი ადგილი, მაგ: ნავენახევის მღვიმე, მაგრამ ძირითადად ინფრასტრუქტურა ჯერ კიდევ საჭიროებს განვითარებას.²

როგორც ფოკუს ჯგუფის მონაწილეებმა აღნიშნეს, თერჯოლაში ნაკლებადაა წარმოდგენილი ტურისტებისთვის მიმზიდველი რეკრეაციული და მოსასვენებელი, გასართობი ადგილები.

შესამჩნევია კვალიფიციური კადრების დეფიციტი ტურიზმთან და სტუმარ-მასპინძლობასთან დაკავშირებული მომსახურების ყველა სფეროში. არ არის ადგილზე კვალიფიციური, უცხოენოვანი გიდები.

მუნიციპალიტეტში მიმდინარეობს სკვერების კეთილმოწყობა, თუმცა ძირითადად ქალაქის ტერიტორიაზე. მონაწილეთა აზრით აქტიურად უნდა გაგრძელდეს რეკრეაციული სკვერებისა და მოსასვენებელი ადგილების ინფრასტრუქტურის განვითარება სოფლებშიც.

3.2 სოციალურ-ეკონომიკური პროფილი: ფოკუს ჯგუფების მონაწილეთა აზრით, პანდემიამ სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა მუნიციპალიტეტში გარკვეულწილად შეცვალა. შეჩერდა ტურიზმის განვითარება. არაერთ ოჯახს შეუმცირდა შემოსავალი, რაც უარყოფითად აისახა ოჯახების ეკონომიკურ მდგომარეობასა და კეთილდღეობაზე.

პანდემიის პერიოდში მუნიციპალიტეტი სასურსათო კალათებით ეხმარებოდა ხანდაზმულ, სოციალურად დაუცველ მოსახლეობას. პროდუქტებზე გაზრდილი ფასები, მოსახლეობის სურსათზე ხელმისაწვდომობის შემაფერხებელ გარემოებად იქცა. როგორც მონაწილეებმა აღნიშნეს, *„სოციალურად დაუცველი მოსახლეობა ახლა უფრო ნაკლები რაოდენობის პროდუქტების ყიდვას ახერხებს, რადგან ფასები თითქმის ყველა პროდუქტზე გაიზარდა, ლარის მსყიდველობით უნარიანობა კი შემცირდა“*.

დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, მუნიციპალიტეტი ახორციელებს ახალშობილთა ოჯახების ერთჯერადი ფულადი დახმარების პროგრამას. რესპოდენტებმა აღნიშნეს, რომ სოფლებში მცხოვრები მოსახლეობის არცთუ ისე მცირე ნაწილი შუახნის ასაკს გადაცილებულია.

შრომის ბაზარი, უმუშევრობა და მიგრაცია: მსგავსად სხვა მუნიციპალიტეტებისა თერჯოლის მუნიციპალიტეტშიც უმუშევრობა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევაა. ადგილზე არასაკმარისი დასაქმების შესაძლებლობის გამო სოფლიდან მოსახლეობის, განსაკუთრებით კი ახალგაზრდების გადინება ხდება. ძირითადად მაღალმთიანი სოფლებიდან მოსახლეობა ცდილობს გადავიდეს სხვა ქალაქებში. ახალგაზრდები საზღვარგარეთ მიდიან სასწავლებლად ან სამუშაოდ, უკან

² თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2020-2023 საშუალოვადიანი პრიორიტეტების დოკუმენტი .გვ15

მუნიციპალიტეტში კი იშვიათად ბრუნდებიან. მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ კერძო სექტორში დასაქმებულებისთვის (მაღაზიები, აფთიაქი, სეზონური სამუშაო) დაბალია შრომითი ანაზღაურება. *„გარკვეული პერიოდი მაღაზიაში ვმუშაობდი კონსულტანტად, მაგრამ იმდენად მცირედს მიხდიდნენ რომ ჩემს მიერ გაწეულ შრომასთან ნამდვილად შეუსაბამო იყო, ამიტომ თავი დაგანებე”*, აღნიშნა ერთერთმა მონაწილემ.

3.3 ინფრასტრუქტურა და კეთილდღეობა: ინფრასტრუქტურის მოწესრიგება მუნიციპალიტეტისთვის პრიორიტეტული მიმართულებაა, რასაც საკუთარი ბიუჯეტითა და სხვადასხვა სახელმწიფო თუ საერთაშორისო ფონდების დახმარებით ახორციელებს. დღეისათვის წარმოდგენილი ინფრასტრუქტურა ნაკლებად არის ადაპტირებული შშმ პირებისთვის. მუნიციპალიტეტში შექმნილი შშმ პირთა საბჭოს ფორმატში, იგეგმება შენობების შეფასება თუ რამდენადაა ისინი ადაპტირებული და რამდენად შეესაბამება სტანდარტებს ადაპტირებული ინფრასტრუქტურა. დღეისათვის, ძირითადად სახელმწიფო შენობებს, სკოლებს და ბაღებს აქვთ პანდუსები. საჯარო დაწესებულებებშიც, პანდუსების მოწყობა მხოლოდ პირველ სართულზეა შესაძლებელი, რადგან მაღალი სართულების ადაპტირება არასაკმარისი ფინანსური რესურსის გამო ვერ ხერხდება.

მუნიციპალიტეტში მუდმივად მიმდინარეობს გზების მოწესრიგება. პირველხარისხოვანი შიდა მნიშვნელობის საგზაო ინფრასტრუქტურა მოწესრიგებულია. დარჩენილია შიდა სასოფლო (საუბნო) გზების შეკეთება. გზების და წყლის სისტემის მოწესრიგებას მუნიციპალიტეტი რეგ. ფონდიდან ახდენს. ეტაპობრივად წესრიგდება გარე განათება, სოფლებში ხელმისაწვდომია ნაგვის ურნები. *„სადაც მიდის ბეტონის გზა სოფლებში, ყველგან დგას ნაგვის ურნები”*, აღინიშნა დისკუსიის მსვლელობისას. გარემოს დაცვისა და ნარჩენების მართვის საკითხში ყველაზე დიდ გამოწვევად მოსახლეობის ქცევის შეცვლა და ცნობიერების ამაღლება წარმოადგენს.

ყველა სოფელში დასრულებულია გაზიფიცირება, ისევე როგორც უზრუნველყოფილია ელექტროენერჯის უწყვეტი მიწოდება. სასმელი წყლის სისტემის მოწესრიგება მიმდინარეობს. წყალი ზაფხულის პერიოდში ნაკლებად ხელმისაწვდომია, რადგან მცირდება წყლის რესურსი. დაწყებულია საირიგაციო/სარწყავი სისტემის მოწესრიგება.

ცენტრალური კანალიზაციის სისტემა რეაბილიტაციას საჭიროებს. როგორც მონაწილეებმა აღნიშნეს კანალიზაცია ღია წესით ჩაედინება მდ. ჩხარაში, რომელიც ზაფხულში შრება, ადგილზე კი ანტისანიტარიული კერები იქმნება. სოფლებში მოსახლეობა ე.წ. ორმოულ საკანალიზაციო სისტემას იყენებს.

ყველა სოფელში არ არის ხელმისაწვდომი აფთიაქი, სასურსათო მაღაზია. რომელთა ადგილზე არსებობის აუცილებლობა გამოიკვეთა პანდემიის გამო გადაადგილებაზე დაწესებული შეზღუდვების შედეგად. სოფლებში საბანკო მომსახურება ხორციელდება ლიბერთი ბანკის მიკროავტობუსით წინასწარ შედგენილი გრაფიკის მიხედვით. თუმცა აქვე აღინიშნა, რომ ლიბერთი ბანკის მანქანა მხოლოდ თემის ცენტრამდე მიდის, თემი კი რამდენიმე სოფელს შეიძლება მოიცავდეს. ე.წ. პენსიის დღეებში, თემში შემავალი ყველა სოფლის ხანდაზმული ერთად იყრის თავს პენსიის მისაღებად, რაც საფრთხეს უქმნის მათში ვირუსის გავრცელებას, ამიტომ უმჯობესი იქნებოდა თუ საბანკო მომსახურების გასაწევად მანქანა სოფლებს ჩამოვივლიდა.

მუნიციპალიტეტში მწვავედ დგას მიუსაფარი ძაღლების საკითხი, რომელთა რიცხვი ყოველდღიურად იზრდება. არ არსებობს მუნიციპალური თავშესაფარი ცხოველებისთვის.

თერჯოლაში ფუნქციონირებს ცენტრალური და 2 დამატებითი ბიბლიოთეკა (2 სხვადასხვა თემში). არსებობს საბავშვო ბიბლიოთეკაც. დისკუსიებისას მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ *„კარგი იქნებოდა მოძრავი ბიბლიოთეკის სერვისის დანერგვა“*, რაც ნაკლები დანახარჯით გაზრდიდა მსურველებისთვის ლიტერატურაზე ხელმისაწვდომობას.

მუნიციპალიტეტში წესრიგდება სკოლებისა და ბაღების ინფრასტრუქტურა. ყველა სკოლას მიეწოდება წყალი (წყლის რეზერვუარები, ჭა და ა.შ). ხდება ახალი საბავშვო ბაღების მშენებლობა, თუმცა მოწესრიგებას საჭიროებს საგანმანათლებლო დაწესებულებების გარეთა სივრცეები, სკოლის სპორტული მოედნები . ბაღებში არ არის საკმარისი სათამაშოები.

საზოგადოებრივი ტრანსპორტი: თერჯოლაში მოსახლეობის გადაადგილებას უზრუნველყოფს კერძო საკუთრებაში არსებული მიკროავტობუსები. მუნიციპალიტეტში შედარებით რთულია შიდა სასოფლო გადაადგილება. *„ ის ვინც ქალაქშია დასაქმებული მათთვის რთულია მოერგონ საქალაქთაშორისო ტრანსპორტის გრაფიკს, უნდა არსებობდეს შიდა გადაადგილების უფრო მოქნილი შესაძლებლობა ”*, აღნიშნა დისკუსიის მსვლელობისას. არსებული ტრანსპორტი არ არის მორგებული შშმ პირების საჭიროებებს.

კომუნიკაციებზე ხელმისაწვდომობა: ინტერნეტის დაფარვა თერჯოლის ყველა სოფელში თანაბრად არ ხდება. არის ადგილები სადაც ინტერნეტი ნაკლებად ხელმისაწვდომია. მოსახლეობისთვის ხელმისაწვდომია ტელევიზია. არსებობს ადგილობრივი გაზეთი. მერიის სიახლეების შესახებ ინფორმაცია გაზეთით, სოფლის წარმომადგენლების, მერიის ვებ გვერდითა და სოციალური ქსელის დახმარებით ვრცელდება. მიუხედავად ამისა, რესპოდენტების მხრიდან გამოწვევად დასახელდა მოსახლეობის დროული ინფორმირება. *„მოქალაქეები ძირითადად ვიგებთ ინფორმაციას მერიის მიერ უკვე განხორციელებული საქმიანობის შესახებ. გუშინწინ ახალგაზრდებთან შეხვედრა ყოფილა და ესეც პოსტ ფაქტუმ გავიგეთ, არადა უმჯობესი იქნებოდა როცა შეხვედრა დაიგეგმა მაშინ გავრცელებულიყო ინფორმაცია“*, აღნიშნა ერთერთმა მონაწილემ.

3.4 განათლება, კულტურა და სამოქალაქო ჩართულობა: სკოლამდელი და სასკოლო განათლება ხელმისაწვდომია ბავშვებისთვის, მათ შორის შშმ ბავშვებისთვისაც. პანდემიის შედეგად გამოიკვეთა მოსწავლეთა ნაკლები ხელმისაწვდომობა ინტერნეტთან. ხშირად ამის მიზეზი ტექნიკის არ არსებობა იყო. სოფლებში დგას სკოლებსა და ბაღებში, კვალიფიციური ფსიქოლოგების არასაკმარისი რაოდენობის პრობლემა.

რესპოდენტების თქმით, პროფესიული განათლების მისაღებად მსურველები ზესტაფონში ან ქუთაისში მიდიან. სასურველია თუ პროფესიულ სასწავლებლებში შესაძლებელი გახდებოდა სოფლის მეურნეობის კუთხით პროგრამების დამატება, კერძოდ მემცენარეობის, მეხილეობის და სხვა.

ადგილზე მერიის დაფინანსებით ფუნქციონირებს კულტურულ - საგანმანათლებლო და სპორტული დაწესებულებები, სადაც ბავშვებისთვის სხვადასხვა წრეებია ხელმისაწვდომი, თუმცა ამ წრეებით ძირითადად ქალაქ თერჯოლაში ან ახლომდებარე სოფლებში მცხოვრები მოზარდები სარგებლობენ.

ადმინისტრაციული ცენტრიდან მოშორებით მდებარე სოფლებში კი მრავალფეროვანი საგანმანათლებლო წრეები, სათანადო ინფრასტრუქტურისა და კადრების ნაკლებობის გამო მოზარდებისთვის ხელმისაწვდომი არ არის. სოფლებში, ძირითადად სკოლების ბაზაზე ჩამოყალიბებულია ქართული ტრადიციული ცეკვის წრეები. მონაწილეებმა გამოთქვეს სურვილი რომ თერჯოლაში გაიხსნას ახალგაზრდების არაფორმალური განათლების ცენტრი, რომელიც ახალგაზრდებში სამოქალაქო პასუხისმგებლობისა და სასიცოხლო უნარების განვითარებას შეუწყობდა ხელს.

კეთილმოწყობილი რეკრეაციული ზონები, სპორტული და საბავშვო მოედნები ნაკლებადაა წარმოდგენილი სოფლებში. მუნიციპალიტეტში არაერთი სტადიონი საჭიროებს განახლებას.³ მოსახლეობის სურვილია გარეთა ტრენაჟორების დამონტაჟება. ადგილზე არის თეატრი, მაგრამ ინფრასტრუქტურა მოძველებულია და საჭიროებს განახლებას. დახურულია კინოთეატრი, რომელიც სრულ რეაბილიტაციას საჭიროებს. მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს ორი მუზეუმი, რომელიც ასევე საჭიროებს რეაბილიტაციას.

თერჯოლის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებდა სამი (3) აუზი, თუმცა დღეისათვის სამივე საჭიროებს სრულ რეაბილიტაციას.

კულტურული და სპორტული აქტივობები ახალგაზრდების მონაწილეობით ძირითადად ზაფხულობით ან სადღესასწაულო დღეებში ტარდება.

მოქალაქეთა ჩართულობის მექანიზმები: როგორც ფოკუს ჯგუფების ინტერვიუების დროს გამოიკვეთა თერჯოლაში მოქალაქეთა ჩართულობის სხვადასხვა ფორმები დანერგილია, თუმცა მოქალაქეები აქტიურად არ იყენებენ მათ. ხშირად ამის მიზეზი მათი ნაკლები ინფორმირებულობა და ნაკლები მოტივაციაა. არ არის ხელმისაწვდომი ელექტრონული პეტიციები. სოფლის კრებები ძირითადად მხოლოდ სოფლის განვითარების პროგრამის ფარგლებში ტარდება, თუმცა მოსახლეობის 20%-ის ჩართულობის უზრუნველყოფა რთულია, ადგილზე მოსახლეობის საკმარისი რაოდენობის არ ყოფნის გამო. მოქალაქეები არ მონაწილეობენ ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესში. იშვიათად ესწრებიან საკრებულოს სხდომებს. არ არის წახალისებული ახალგაზრდების ჩართულობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში, განსაკუთრებით სოფლად დარჩენილი ახალგაზრდების.

3.5 ძირითადი სერვისები და პროგრამები: თერჯოლაში სოციალური და ჯანდაცვის პროგრამების მიწოდებას მერიის სოციალური სამსახური და სოციალური მომსახურეობის სააგენტო ახორციელებენ. მერიის სოციალური პროგრამები ძირითადად ფულად გასაცემელს მოიცავს, რაც ვერ უზრუნველყოფს მოქალაქის პრობლემის გრძელვადიან და მდგრად გადაჭრას. პროგრამების შემუშავება შემოსული განცხადებების ანალიზის საფუძველზე ხდება.

ჯანდაცვის პროგრამები და ჯანდაცვაზე ხელმისაწვდომობა: მერიას გააჩნია მედიკამენტებისა და სხვადასხვა სამედიცინო კვლევების, ოპერაციების თანადაფინანსების მექანიზმი, რომლითაც სარგებლობა არა მხოლოდ სოციალურად დაუცველ მოქალაქეებს შეუძლიათ. ფუნქციონირებს საავადმყოფო, სადაც საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით სარგებლობა ხელმისაწვდომია. სოფლებში

³ თერჯოლის 2020-2023 წწ საშუალოვადიანი პრიორიტეტების დოკუმენტი. გვ 18.

არსებობს ამბულატორია, თუმცა ექიმი ყოველდღიურად არ არის ადგილზე ხელმისაწვდომი. საჭიროა ამბულატორიების ინფრასტრუქტურისა და მატერიალურ - ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება.

სოციალური საკითხები და სერვისები: თერჯოლაში შშმ ბავშვთა ორი დღის ცენტრი არსებობს, რომლისთვისაც ფართი მუნიციპალიტეტმა გამოყო. დღის ცენტრის სარეაბილიტაციო სერვისებით სარგებლობა შეუძლიათ სოფლებში მცხოვრებ მოზარდებსაც, ასევე ხდება მათი ტრანსპორტირების უზრუნველყოფა. ფოკუს ჯგუფების მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ მუნიციპალიტეტში ნაკლებადაა წარმოდგენილი სივრცეები, რომლებიც სრულწლოვანი შშმ პირების საზოგადოებაში ინტეგრაციასა და რესოციალიზაციას შეუწყობს ხელს. (სოციალური კაფეები, სოც. საწარმო ან სხვა)

ფოკუს ჯგუფების დისკუსიების შედეგად გაირკვა, რომ მუნიციპალიტეტში არ არის ხანდაზმული ადამიანებისთვის სოციალური სივრცეები, რაც ხელს შეუწყობდა მათ საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიურად ჩართულობას. შესაბამისად მუნიციპალიტეტში არ არის წარმოდგენილი ხანდაზმულთა დღის ცენტრი.

უფასო სასადილო, რომელის მომსახურებითაც ქ.თერჯოლის შეჭირვებული მოსახლეობა სარგებლობდა, არ ფუნქციონირებს. მუნიციპალიტეტის გადაწყვეტილებით უფასო სადილო შესაბამისი ფულადი დახმარებით შეიცვალა, თუმცა რამდენად ეფექტური გამოდგა თანხის გაცემა და რამდენად გაამართლა კვებით უზრუნველყოფის მიზანი გაურკვეველია.

ადგილზე შემუშავებულია მარტოხელა მშობლების, მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების პროგრამა, თუმცა ეს პროგრამები მცირე ფულად გასაცემელს მოიცავს და ოჯახების წინაშე მდგარი პრობლემების გადაჭრას გრძელვადიანად ვერ უზრუნველყოფს.

მერიის სოციალურ სამსახურთან შეიქმნა ბავშვთა უფლებების დაცვისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფის განყოფილება, რომელიც ახალი შექმნილია და საჭიროებს გაძლიერებას.

ერთ-ერთ მტკივნეულ საკითხად გამოიკვეთა მოქალაქეთათვის სოციალურად დაუცველთა სტატუსის მინიჭება. რესპოდენტებმა გამოთქვეს მოსაზრება, რომ აუცილებელია ოჯახის შეფასებისას ადგილობრივი თვითმმართველობის როლის და ჩართულობის გაზრდა, ასევე შეფასების სისტემის არსებითი განახლება.

„თერჯოლას გააჩნია მოწყვლადი ადამიანებისთვის სახლების შესყიდვის/ გარემონტების პროგრამა, მაგრამ ალბათ ამ ოჯახების სოციალურ ქულებზე საყოფაცხოვრებო პირობების შეცვლა იმოქმედებს, არსებული მიდგომით დიდი ალბათობით მათ როგორც მინიმუმ სტატუსი შეუჩერდებათ”, აღინიშნა ფოკუს ჯგუფის მსვლელობისას.

4. რეკომენდაციები:

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს

- სოფლის მეურნეობის განვითარების კუთხით მნიშვნელოვანია ადგილობრივ საჭიროებებზე და მოქალაქეთა ინტერესებზე მორგებული პროგრამების შემუშავება და განხორციელება. ასევე, არსებული პროგრამების გადახედვა და პირობების გაუმჯობესება;
- მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტთან ერთად შემუშავდეს და დაინერგოს მოქალაქეთა ინფორმირებულობის ახალი ფორმები იმ პროგრამების შესახებ, რომელიც სოფლის მეურნეობის განვითარების კუთხით ხორციელდება.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს

- ხელი შეეწყოს მუნიციპალიტეტში სოფლის მეურნეობის მიმართულებით პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობას.

ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს

- დაიწყოს მუშაობა სოციალურად დაუცველთა შეფასების სისტემის განახლებაზე, რათა ეს უკანასკნელი მაქსიმალურად ობიექტურად აფასებდეს მოქალაქის საჭიროებას და სიდუხჭირეს.

ადგილობრივ მუნიციპალიტეტს

- მნიშვნელოვანია მცირე საგრანტო პროგრამების შემუშავება და ახალგაზრდების ეკონომიკური წახალისება მიგრაციის შესამცირებლად;
- მნიშვნელოვანია ჩართულობის მექანიზმების შესახებ მოქალაქეთა ცნობიერების ამაღლება და წახალისება;
- მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტმა გადახედოს არსებულ პროგრამებს და გამონახოს გზები ერთჯერადი ფულადი გასაცემლები შეცვალოს მდგრადი სერვისების მიწოდებით. პროგრამები კი გახადოს უფრო მეტად მორგებული მოსახლეობის საჭიროებებს;
- მნიშვნელოვანია მაღალკვალიფიციური სერვისის მიწოდების უზრუნველსაყოფად დაინერგოს „აუთოსორსინგის“ (სერვისის შესყიდვის) მექანიზმი მუნიციპალიტეტში.

5.საბიუჯეტო პროგრამა თერჯოლის მუნიციპალიტეტისთვის

პროგრამის დასახელება	კოდი	კრიზისულ სიტუაციაში მყოფი მრავალშვილიანი ოჯახების მიზნობრივი დახმარების პროგრამა	ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება	სხვა რესურსებიდან მიღებული დაფინანსება
			20 000	
პროგრამის განმხორციელებელი უწყება(სამსახური)	მერიის ბავშვთა უფლებების დაცვისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფის განყოფილება			
წინაპირობა	ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველოს (LDA Georgia) მიერ თერჯოლაში ჩატარებული ფოკუს ჯგუფების დისკუსიებისას გამოვლინდა, რომ ადგილზე არიან მრავალშვილიანი ოჯახები, რომლებიც სოციალურად დაუცველ, მოწყვლად კატეგორიას წარმოადგენენ. მძიმე საყოფაცხოვრებო პირობები, დაუსაქმებლობა (ან სეზონური სამუშაო) ის გამოწვევებია, რომელთანაც გამკლავება ყოველდღიურად უწევთ ამ ოჯახებს. თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2021 წლის საბიუჯეტო პროგრამების შესწავლისას ასევე ნათელი გახდა, რომ მუნიციპალიტეტს მრავალშვილიანი ოჯახებისთვის არ აქვს შემუშავებული გაძლიერების პროგრამა, რომელიც ხელს შეუწყობდა ამ ოჯახების წინაშე მდგარი პრობლემების ძირეულ გადაჭრას.			
პროგრამის ბენეფიციარები	თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული და მცხოვრები სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი (რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 65000) ოჯახები.			
პროგრამის აღწერა (მიზანი)	თერჯოლაში რეგისტრირებული კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება, რომლებიც გადაუდებლად საჭიროებენ სხვადასხვა სერვისის მიწოდებას. ოჯახის შეფასება მოხდება თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის ბავშვთა უფლებების დაცვისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფის განყოფილების მიერ. მუნიციპალიტეტის მიერ დამტკიცებული მეთოდოლოგიის საფუძველზე მოხდება ოჯახის საჭიროების დადგენა. დასკვნა- რეკომენდაცია შემდგომი რეაგირების მიზნით განსახილველად და გადაწყვეტილების მისაღებად წარედგინება მუნიციპალიტეტში შექმნილ სამუშაო ჯგუფს. მოქალაქის განცხადების/სხვა უწყების მომართვის საფუძველზე საქმის წარმოებას დაიწყებს მუნიციპალიტეტი. სამუშაო ჯგუფი შეიქმნება შემდეგი წარმომადგენლობით: თერჯოლის			

	<p>მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე; სოციალურ საკითხთა სამსახური; სოციალური მომსახურების სააგენტო; სსიპ – სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინიგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტო. განცხადების შესწავლა და დასკვნა-რეკომენდაციის მომზადება მოხდება არაუგვიანეს ხუთი (5) სამუშაო დღის განმავლობაში. სამუშაო ჯგუფი შეიკრიბება საჭიროებისამებრ. ოჯახს, დასკვნა-რეკომენდაციის საფუძველზე დახმარების სერვისს შესთავაზებს სამუშაო ჯგუფში წარმოდგენილი სამსახურები. გადაუდებელი საჭიროების გამოკვეთის შემთხვევაში, მუნიციპალიტეტის ჩართულობა განისაზღვრება არამატერიალური დახმარების კუთხით, თითოეულ შემთხვევაზე არაუმეტეს, 2000 ლარის ოდენობით. აღნიშნული თანხა უნდა მოხმარდეს იმ საჭიროების მოგვარებას, რაც მრავალშვილიანი ოჯახის საჭიროებად გამოიკვეთა, გარდა ჯანდაცვის საკითხებისა.</p>			
პროგრამის შედეგი	დაკმაყოფილებულია კრიზისულ სიტუაციაში მყოფი ოჯახების საჭიროებები.			
შესრულების ინდიკატორი განხორციელებული პროექტები	საწყისი მაჩვენებელი	2022 წლის მაჩვენებელი	2023 წლის მაჩვენებელი	2023 წლის მაჩვენებელი
	0	10 პროექტი	პროექტი	პროექტი
პროგრამის შესრულების მონიტორინგის განმხორციელებელი	სოციალურ საკითხთა დაცვის სამსახური/ შიდა აუდიტის სამსახური			
რისკები	ნაკლები მომართვიანობა			

6.დანართი: სადისკუსიო გეგმა/გზამკვლევი

საკვლევი საკითხი	ძირითადი კითხვები	შენიშვნა/კომენტარი ინტერვიუერისთვის
გაცნობითი/შესავალი ნაწილი	<ul style="list-style-type: none"> - მისაღება / წარდგენა / მონაწილეთა გაცნობა; - კვლევის მიზნების, ფორმატის და პრინციპების გაცნობა (კონფიდენციალობის კომონენტი); - აუდიო ჩანაწერის განხორციელებაზე თანხმობის მოპოვება. 	ამ ნაწილის მიზანია მონაწილეთა მომზადება და კეთილგანწყობილი გარემოს შექმნა.
ეკონომიკური განვითარება	<ol style="list-style-type: none"> 1. რა გამოწვევებს ხედავთ თქვენს მუნიციპალიტეტში ეკონომიკური განვითარების კუთხით? 2. სოფლის მეურნეობის თქვენთვის სასურველი დარგის განვითარებაში რა ხელშემშლელი გარემოებები არსებობს? 3. გაქვთ თუ არა თქვენს მიერ წარმოებული პროდუქციის ადგილზე რეალიზების შესაძლებლობა? 4. მიგიძლიათ თუ არა მონაწილეობა ეკონომიკური განვითარების პროგრამებში? თუ არა რატომ? 	თემის ზოგადი მდგომარეობის შეფასება და მწვავე პრობლემების იდენტიფიცირება.
ინფრასტრუქტურა და კეთილდღეობა	<ol style="list-style-type: none"> 5. ინფრასტრუქტურის კუთხით რა წარმოადგენს თქვენთვის ყველაზე დიდ გამოწვევას? 6. რამდენად ხელმისაწვდომია საზოგადოებრივი ტრანსპორტი? 7. არის თუ არა უზრუნველყოფილი თქვენს დასახლებებში შესაბამისი საკომუნიკაციო სისტემები? 	აქცენტი გაკეთდება მუნიციპალიტეტში არსებულ ინფრასტრუქტურაზე, საზოგადოებრივ ტრანსპორტზე, კომუნიკაციის ხელმისაწვდომობაზე.
სოციალურ-ეკონომიკური პროფილი	<ol style="list-style-type: none"> 8. რამდენად მიგიწვდებათ ხელი პირველად ჯანდაცვასთან? რა პროგრამები ხორციელდება პირველადი ჯანდაცვის კუთხით? თუ არის ხელმისაწვდომი სოფლის ამბულატორია? ექიმის მომსახურება? 9. რას დაასახელებდით პირველად გამოწვევად ჯანდაცვის კუთხით თქვენს მუნიციპალიტეტში? 10. ეკოლოგიის კუთხით რა სახის პრობლემებს დაასახელებდით? და როგორია მათი ზეგავლენა გარემოზე? 11. რამდენად შეგიძლიათ დასაქმდეთ თქვენს მუნიციპალიტეტში? თუ არა რა ხელშემშლელ ფაქტორებს დაასახელებდით? 12. გაქვთ თუ არა რეგისტრირებული მიწის ნაკვეთები? რა გამოწვევებს აწყდებით ამ კუთხით? 	მნიშვნელოვანია მიღებულ იქნას მაქსიმალურად კონკრეტული და დეტალური ინფორმაცია ამ საკითხებზე.

	<p>13. რა უწყობს ხელს თქვენს მუნიციპალიტეტში მიგრაციას?</p> <p>14. რა გამოწვევებს ხედავთ დემოგრაფიული ცვლილებების კუთხით? რა სახის პროგრამები უნდა არსებობდეს დემოგრაფიული კეთილდღეობისთვის?</p>	
<p>განათლება, კულტურა და სოციალური ჩართულობა</p>	<p>15. რამდენად არის ხელმისაწვდომი თქვენს მუნიციპალიტეტში სკოლამდელი და სკოლის განათლება? სასკოლო ტრანსპორტი რამდენად არის ხელმისაწვდომი? თუ არის საგანმანათლებლო ადწესებულებებში ინფრასტრუქტურა მოწესრიგებული?</p> <p>116. კულტურული ცხოვრება რამდენად ხელმისაწვდომია?</p> <p>17. თუ იცნობთ მუნიციპალიტეტში სამოქალაქო ჩართულობის რომელიმე მექანიზმს? როგორ ფიქრობთ რა უნდა გაუმჯობესდეს მოქალაქეების ჩართულობის კუთხით ?</p>	<p>განხილული იქნება შემდეგი ქვეთემები: კვალიფიკაცია და უნარ-ჩვევები, კულტურული მემკვიდრეობა და სოციალური/კულტურული გარემო; სპორტული და რეკრეაციული ღონისძიებები; სამოქალაქო ჩართულობა; თანასწორობა.</p>
<p>ძირითადი სერვისები და პროგრამები</p>	<p>18. რომელ სერვისებზე მიგიწვდებათ ხელი? რომელი სერვისების ნაკლებობაა თქვენი აზრით თქვენს მუნიციპალიტეტში?</p> <p>19. რისი გაუმჯობესებაა საჭირო უკვე არსებული სერვისების უკეთ ფუნქციონირებისათვის?</p>	<p>ყურადღების გამახველება პროგრამების შესახებ არსებულ ინფორმაციასა და კრიტერიუმებზე; ხელმისაწვდომობის დადგენა.</p>
<p>Covid-19-ის შემდგომ წარმოქმნილი გამოწვევები</p>	<p>20. რა არის ის ძირითადი გამოწვევები, რომლის წინაშეც დადექით კოვიდის შედეგად?</p> <p>21. კოვიდ პანდემიით გამოწვეული სირთულეების დასაძლევად რა პროგრამები და აქტივობები განხორციელდა თქვენს მუნიციპალიტეტში?</p> <p>22. რა უნდა გაკეთდეს თქვენს მუნიციპალიტეტში კოვიდ პანდემიით გამოწვეული პრობლემების შესამსუბუქებლად?</p>	<p>ყურადღების გამახვილება იმ საკითხებზე და გამოწვევებზე, რაც პანდემიის შემდგომ გამოიკვეთა.</p>
<p>რეკომენდაციები / მოსაზრებები გაუმჯობესებისთვის</p>	<p>23. რა უნდა გაკეთდეს თქვენი არსებული სოციალური პრობლემების მოსაგვარებლად?</p> <p>24. რა ტიპის რესურსების მობილიზებაა საჭირო? ვის მიერ?</p>	<p>მნიშვნელოვანია მიღებულ იქნას მაქსიმალურად კონკრეტული და დეტალური ინფორმაცია ამ საკითხებზე.</p>